

**სახაზინო სამსახურის
ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა**
**საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-სექტემბრის
შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების შესახებ**

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლების და გრანტების იანვარ-სექტემბრის საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 1 687 690.2 ათასი ლარით, ფაქტიურად მობილიზებული იქნა 1 804 988.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო პარამეტრის 107%-ია. მთლიანი შემოსავლების საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 1 643 794.4 ათასი ლარით, ფაქტიურად მიღებულმა მთლიანმა შემოსავლებმა შეადგინა 1 760 154.2 ათასი ლარი (საპროგნოზო პარამეტრის 107%); მათ შორის: საგადასახადო შემოსავლებმა – 1 269 275.7 ათასი ლარი; არასაგადასახადო შემოსავლებმა – 215 844.8 ათასი ლარი, კაპიტალურმა შემოსავლებმა – 275 033.7 ათასი ლარი; გრანტების სახით მიღებულმა შემოსავლებმა – 44 834.0 ათასი ლარი.

საგადასახადო შემოსავლების 2005 წლის იანვარ-სექტემბრის საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 1 181 872.2 ათას ლარით, ხოლო ფაქტიურად მიღებულმა შემოსავლებმა (1 269 275.7 ათასი ლარი) შეადგინა საპროგნოზო პარამეტრის 107%; მათ შორის:

– დამატებითი ღირებულების გადასახადის საპროგნოზო პარამეტრი შეადგენს 624 755.1 ათას ლარს, ფაქტიურად მიღებულია 682 449.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 109%; მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან მიღებულმა დღგ-მ შეადგინა 260 238.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (254 948.6 ათასი ლარი) 102%-ია, ხოლო იმპორტირებული პროდუქციიდან მიღებული დღგ-ს შემოსავლების მოცულობა შეადგენს 422 210.5 ათას ლარს, ანუ საპროგნოზო პარამეტრის (369 806.5 ათასი ლარი) 114%-ს.

– აქციზის სახით მიღებული შემოსავლების საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 226 820.0 ათასი ლარით, ფაქტიურად მობილიზებულია 209 992.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის 93%; მათ შორის: საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციიდან მიღებული აქციზის მოცულობა შეადგენს 48 905.9 ათას ლარს, რაც გეგმის (83 550.0 ათასი ლარი) 59%-ია, საბაჟო დეპარტამენტიდან მობილიზებული აქციზის თანხების მოცულობამ შეადგინა 161 086.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (143 270.0 ათასი ლარი) 112%-ია.

– საბაჟო გადასახადის საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 85 451.1 ათასი ლარით, ფაქტიურად მობილიზებული იქნა 86 365.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 101%.

– სოციალური გადასახადის საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 244 846.0 ათასი ლარით, ფაქტიურად მიღებული იქნა 281 072.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 115%. მათ შორის მობილიზებულია: სოციალური გადასახადი საბიუჯეტო სექტორიდან 80 072.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (74 686.0 ათასი ლარი) 107%-ია, ხოლო სოციალური გადასახადი არასაბიუჯეტო სექტორიდან – 189 557.1 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის (170 160.0 ათასი ლარი) 111%-ს შეადგენს, ასევე “სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადის” სახით მიღებულია 11 442.3 ათასი ლარი.

2005 წლის იანვარ-სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტში “სხვა გადასახადების” სახით ჩარიცხულმა თანხებმა შეადგინა 9 395.9 ათასი ლარი, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა გადასახადების სახით გასული წლების ნარჩენ თანხებს.

სულ 2005 წლის იანვარ-სექტემბერში საგადასახადო შემოსავლების სახით სახელმწიფო ბიუჯეტში საბაჟო დეპარტამენტის მიერ მობილიზებული იქნა 669 662.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო პარამეტრის – 598 527.8 ათასი ლარის 112%-ს შეადგენს, ხოლო საგადასახადო დეპარტამენტის მიერ მობილიზებულმა საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 599 613.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის – 583 344.6 ათასი ლარის – 103%.

სახელმწიფო ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლების იანვარ-სექტემბრის საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 186 889.4 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურად მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 215 844.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის 115%; მათ შორის:

– მოსაკრებლების საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 34 844.3 ათასი ლარით, ფაქტიურად მობილიზებული იქნა 54 720.5 ათასი ლარი, ანუ 157%.

– სახელმწიფო ქონების იჯარიდან მიღებული შემოსავლების საპროგნოზო პარამეტრის მოცულობა განისაზღვრა 808.2 ათასი ლარით, ფაქტიურად მიღებული იქნა 758.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 94%-ია.

– მომსახურების გაწევის საფასურით მიღებული შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 3 135.0 ათასი ლარით, ფაქტიურად მიღებულია 1 429.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 46%.

– არაძირითადი (თანამდევნი) გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების გეგმამ შეადგინა 120.6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად მიღებულია 17.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 15%.

– დივიდენდებიდან და ეროვნული ბანკის მოგებიდან შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 41 465.0 ათასი ლარით, ფაქტიურად მიღებული იქნა 56 914.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 137%. მ. შ.:

– ვსახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოებიდან დივიდენდების სახით მიღებული შემოსავლების მოცულობამ შეადგინა 16 914.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (11 465.0 ათასი ლარი) 148%;

– ეროვნული ბანკის მოგებიდან მიღებული იქნა 40 000.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (30 000.0 ათასი ლარი) 133%.

– სახელმწიფო სესხის პროცენტის (სარგებლის) სახით მიღებული შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 2 698.3 ათასი ლარით, ფაქტიურად მიღებული იქნა 3 910.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის 145%.

– ჯარიმებით და სანქციებით მიღებული შემოსავლების საპროგნოზო პარამეტრი შეადგენს 5 084.0 ათას ლარს, ფაქტიურად კი მიღებულია 5 830.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 115%-ს შეადგენს.

– გაცემული კრედიტების დაბრუნებით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 7 077.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (7 417.0 ათასი ლარი) 95%.

– სხვა არასაგადასახადო შემოსავლების სახით ფაქტიურად მობილიზებული იქნა 85 185.6 ათასი ლარი (გეგმის 91 317.0 ათასი ლარის 93%-ია), მათ შორის საოპერაციო დეპარტამენტის და რეგიონალური ხაზინების საბიუჯეტო ორგანიზაციების სპეციალური სახსრების სალარე და სავალუტო ანგარიშებზე 2005 წლის 1 იანვრისათვის რიცხული ნაშთები 259.9 ათასი ლარი და შსს სპეციალური სახსრების ანგარიშზე რიცხული ნაშთი 509.2 ათასი ლარი, რომელიც “საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ” კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით ზოგიერთ ორგანიზაციულ ღონისძიებათა თაობაზე” საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2004 წლის 23 იანვრის №29 ბრძანების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლებში.

საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კაპიტალური შემოსავლების იანვარ-სექტემბრის საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 275 032.8 ათასი ლარით, ფაქტიურად მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 275 033.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის 100%; მათ შორის: ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან მიღებულ იქნა 273 188.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (274 762.8 ათასი ლარი) 99%; მიწისა და

არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან შემოსავლების საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 270.0 ათასი ლარით (მათ შორის მიწის გაყიდვიდან – 270.0 ათასი ლარი), ფაქტიურად მიღებულმა შემოსავლებმა (მიწის გაყიდვიდან) შეადგინა 1 845.3 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტში 2005 წლის იანვარ-სექტემბერში მიღებული გრანტების მოცულობამ შეადგინა 44 834.0 ათასი ლარი, რაც საგეგმო პარამეტრის – 43 895.8 ათასი ლარის 102%-ია; მათ შორის: ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით გრანტის ფარგლებში მიღებული თანხების მოცულობამ შეადგინა 41 917.0 ათასი ლარი, რომელიც ჩართულია ანგარიშგებაში, ხოლო გრანტის სახით ბიუჯეტის შემოსულობების ერთიან ანგარიშზე ჩარიცხულია 2 917.3 ათასი ლარი; მათ შორის 117.3 ათასი ლარი (კონვერტირების შემდეგ) ლუქსემბურგის მიერ გამოყოფილი გრანტი, რომელიც ასევე ჩართულია ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში.

საინვესტიციო პროექტებზე თანხვლები, მსოფლიო ბანკის “ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების საქმეში სოციალური და ეკონომიკური სტატისტიკის გამოყენების გაუმჯობესების პროექტის” (36.5 ათასი ლარი), სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის “მთიან და მაღალმთიან რეგიონებში სოფლის განვითარების პროგრამის” (7.4 ათასი ლარი), გერმანიის ეფჭ (4.5 ათასი ლარი) და ნავთობსადენის “ბორჯომის საზოგადოებრივი გართობის და დასვენების პარკის აღდგენის და განვითარების” (8 252.6 ათასი ლარი) გრანტები “საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონში არ არის გათვალისწინებული და ასახულია 1 სექტემბრისთვის ხაზინის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებში, რადგან ხარჯებში ჩართული იქნება დაზუსტების და “საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ; ასევე ნაშთებში ასახულია “სხვა გრანტების” სახით ჩარიცხული 8 509.0 ათასი ლარი, რომელიც საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიღებულია მიზნობრივი გრანტის სახით და ჩარიცხულია ხაზინის სპეციალურ ანგარიშებზე და ხარჯების გაწევის შემდეგ, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებში და გადასახდელებში ასახვა, “სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 30 აგვისტოს №570 ბრძანების თანახმად, სახაზინო სამსახურის მიერ მოხდება საბანკო ანგარიშებზე გატარებით.

“საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის შემოსულობათა აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის №82 ბრძანებულების შესაბამისად, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, სახაზინო სამსახურის მიერ საბანკო ანგარიშებზე 2005 წლის იანვარ-სექტემბერში გატარებული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების, ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის მიერ ადგილზე გახარჯული თანხები სულ 4 187.5 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროები

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებლად 2005 წლის იანვარ-სექტემბერში მოზიდული რესურსების ოდენობამ შეადგინა სულ – 52 710.4 ათასი ლარი.

აქედან, ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებისათვის საშინაო წყაროებიდან:

– სახელმწიფოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული სახაზინო ვალდებულებებზე მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში დავალიანების შემცირება – 13 544.4 ათასი ლარი;

– წინა წელს გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნებით მიღებულ იქნა 3 365.6 ათასი ლარი. მათ შორის, 1 671.6 ათასი ლარი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 24 ივნისის №ბს-466-573-კ-03 განჩინებით ს.ს. “თელასზე” ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკისრებული 5 671.6 ლარიდან, შეთანხმებული გრაფიკის თანახმად დაბრუნებული ნაწილი, რომელიც დაუბრუნდა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს, როგორც 2003 წელს გადარიცხული სახსრები.

რაც შეეხება ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების საგარეო წყაროებს, ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნის მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტების სახით მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერში გამოყოფილ იქნა 62 889.2 ათასი ლარი, რაც სახაზინო სამსახურის მიერ ასახულია ანგარიშგებაში.

2005 წლის პირველი იანვრისთვის არსებული გარდამავალი საბრუნავი სახსრების ფაქტობრივად არსებულმა ოდენობამ შეადგინა 54 032.0 ათასი ლარი. აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტის ერთიან გამანაწილებელ ანგარიშზე არსებულმა გარდამავალმა საბრუნავმა სახსრებმა შეადგინა 53 204.0 ათასი ლარი; სახაზინო სამსახურის ხარჯების ძირითად ანგარიშზე ნაშთმა შეადგინა 144.2 ათასი ლარი, ხოლო სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტის, ქ. ფოთის და რეგიონალური ხაზინების ანგარიშებზე რიცხულმა ნაშთებმა შეადგინა 683.8 ათასი ლარი.

1 ოქტომბრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზინის სალარე ანგარიშებზე არსებული გარდამავალი ნაშთი დაფიქსირდა 129 177.8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის ჩართულია გრანტების ნაშთები 16 810.0 ათასი ლარი, რომელიც როგორც ზემოთ არის მითითებული, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებში არ არის გატარებული.

2005 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით სხვადასხვა უცხოურ ვალუტაში ხაზინის საბიუჯეტო სახსრების სავალუტო ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შესაბამისი ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში შეადგინა 2 982.7 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები და ხარჯები

„საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებისა და ხარჯების კვარტალური განწერის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 25 აპრილის №292 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2005 წლის ცხრა თვის საბიუჯეტო შემოსავლებიდან გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებისა და ხარჯების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 2 238 411.6 ათასი ლარით. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 31 აგვისტოს №571 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 1 836 538.4 ათასი ლარი, დამოწმებამ – 1 799 518.4 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯებმა – 1 782 715.0 ათასი ლარი, რაც შეადგენს ვალდებულების მიმართ 97%-ს და დამოწმების მიმართ 99%-ს, ხოლო ცხრა თვის საგეგმო მაჩვენებლის (2 238 411.6 ათასი ლარი) მიმართ შეადგენს 80%-ს.

“საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად 2005 წლის ცხრა თვეში გაწეული სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან ხარჯებში ასახულია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეულ ხარჯები, რომლის მოცულობის

შესახებაც ინფორმაცია ორგანიზაციული კოდეზის მიხედვით ანგარიშს ერთვის დანართის სახით.

2005 წლის იანვარ-სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

“მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების” მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2005 წლის ცხრა თვის გეგმა განისაზღვრა 214 186.1 ათასი ლარით. იანვარ-სექტემბერში ამ მიზნით რეგისტრირებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 200 189.6 ათასი ლარი, ვალდებულებები დამოწმებულ იქნა (წარმოდგენილი იქნა განაცხადი) 197 631.3 ათას ლარზე, ხოლო ფაქტიურად გადახდამ შეადგინა 197 213.9 ათასი ლარი, რაც შეადგენს ვალდებულების 99%-ს და დამოწმების 100%-ს, ხოლო საგეგმო მაჩვენებლის 92%-ს.

“დამქირავებლიდან ანარიცხების” გეგმა განისაზღვრა 47 562.5 ათასი ლარით; საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული ვალდებულების მოცულობამ შეადგინა 43 683.0 ათასი ლარი, დამოწმებამ – 43 125.8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად გადახდილ იქნა 43 053.4 ათასი ლარი, რაც შეადგენს ვალდებულების 99%-ს და დამოწმების 100%-ს, ხოლო გეგმის – 91%-ს.

“მივლინებები”-სათვის 2005 წლის ცხრა თვეში გათვალისწინებული იყო 21 179.1 ათასი ლარის გამოყოფა, საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულების ოდენობამ შეადგინა 18 507.3 ათასი ლარი, დამოწმებამ – 18 388.4 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად მივლინებებზე გაცემულმა თანხამ შეადგინა 18 313.4 ათასი ლარი, რაც შეადგენს ვალდებულების 99%-ს და დამოწმების 100%-ს, ხოლო გეგმის – 86%-ს.

“მივლინებები”-ს მუხლით ორგანიზაციების ხარჯების დაფინანსების მაჩვენებლებია: საქართველოს პარლამენტი – 1 018.8 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების 95% და დამოწმების 98%, ხოლო გეგმიური მაჩვენებლის 92%; საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია – 1 614.6 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების–დამოწმების და გეგმის 99%-ი; კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი – 35.2 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების და დამოწმების 100%, ხოლო გეგმიური მაჩვენებლის 95%; საქართველოს კონტროლის პალატა – 227.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულება-დამოწმების 100%-ს, ხოლო გეგმის 95%-ს შეადგენს; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო – 26.5 ათასი ლარი, ანუ ვალდებულება-დამოწმების 100%, ხოლო გეგმის 88%; სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური – 5.0 ათასი ლარი, ანუ ვალდებულება-დამოწმების და გეგმიური მაჩვენებლის 100%; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს – 464.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 95 %-ს და დამოწმების 100%-ს, ხოლო გეგმის 87%-ს შეადგენს; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატი – 66.2 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების 93%-ი და დამოწმების 97%-ი, ხოლო გეგმის 92%-ი; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო – 10 195.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99%-ს და დამოწმების 100 %-ს, ხოლო გეგმის 87%-ს შეადგენს; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო – 1 578.9 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების 99%-ი და დამოწმების 100%-ი, ხოლო გეგმის 96%-ი; სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 122.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 97%-ს, დამოწმების 98%-ს და გეგმის 80%-ს შეადგენს; საგარეო საქმეთა სამინისტრო – 809.9 ათასი ლარი, რაც შეადგენს ვალდებულება-დამოწმების 100%-ს და გეგმის 95%-ს.

„სხვა საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან 2005 წლის ცხრა თვეში დაგეგმილი იყო 372 589.2 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან იანვარ-სექტემბერში აღებული ვალდებულებების მოცულობამ შეადგინა 270 520.0 ათასი ლარი (გეგმის მიმართ 72%), დამოწმებამ – 257 036.8 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 252 547.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 93%-ს და დამოწმების 98%-ს, ხოლო საგეგმო მაჩვენებლის – 68%-ს შეადგენს. ამ კატეგორიიდან ხდება საბიუჯეტო ორგანიზაციების კვების ხარჯების დაფინანსება. 2005 წლის ცხრა თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან კვების ხარჯების მუხლით დაგეგმილი იყო 17 984.3 ათასი

ლარის გამოყოფა; აღებული ვალდებულების ოდენობამ შეადგინა 14 487.2 ათასი ლარი, დამოწმებამ – 11 815.6 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 11 696.9 ათასი ლარი, რაც შეადგენს ვალდებულების 81%-ს და დამოწმების 99%-ს, ხოლო გეგმის 65%-ს.

„სხვა საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან გაწეული დანარჩენი ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

- ოფისის ხარჯები – 12 199.0 ათასი ლარი, ვალდებულების 91% და დამოწმების 99%;
- კომუნალური მომსახურების ხარჯები – 26 098.2 ათასი ლარი, ვალდებულების 96% და დამოწმების 99%;
- სამედიცინო ხარჯები – 8 742.8 ათასი ლარი, ვალდებულების 98% და დამოწმების 100%;
- რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯები – 4 461.8 ათასი ლარი, ვალდებულების 63% და დამოწმების 95%;
- ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯები – 28 581.3 ათასი ლარი, ვალდებულების 88% და დამოწმების 99%;
- სხვა ხარჯები – 158 444.3 ათასი ლარი, ვალდებულების 96% და დამოწმების 98%.

„სხვა საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან ხდება საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა შენახვის ხარჯების დაფინანსება, რომელიც მოიცავს დიპლომატიური კორპუსის სახელფასო ხარჯებსაც. 2005 წლის იანვარ-სექტემბერში საელჩოების შენახვისათვის აღებულმა ვალდებულება-დამოწმებამ შეადგინა 15 800.7 ათასი ლარი (ცხრა თვის გეგმა – 15 967.5 ათასი ლარი), საკასო ხარჯმა – 15 800.7 ათასი ლარი, ანუ ვალდებულება-დამოწმების 100% და გეგმის 99%.

ამავე მუხლიდან ხდება ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებზე დევნილთა და ლტოლვილთა შენახვის ხარჯების (მოხმარებული ელექტროენერჯისა და წყლის ღირებულების, ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებზე დასაქმებული პერსონალის ხელფასების) და დევნილთა და ლტოლვილთა შენახვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების დაფინანსება. აღნიშნულმა ხარჯებმა შეადგინა 15 026.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 85%-ს და დამოწმების 89%-ს, ხოლო გეგმის (19 290.4 ათასი ლარი) 78%-ს შეადგენს.

„სხვა საქონელი და მომსახურების“ მუხლით გასაწევი ხარჯების დაფინანსების მაჩვენებლებია: საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი – 72.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (72.2 ათასი ლარი) 100%-ს და დამოწმების (72.2 ათასი ლარი) 100%-ს, ხოლო საგეგმო მაჩვენებლის (72.6 ათასი ლარი) 99%-ს შეადგენს; საქართველოს მთავრობის კანცელარია – 3 443.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (3 524.6 ათასი ლარი) 98%-ს და დამოწმების (3 481.9 ათასი ლარი) 99%-ს, ხოლო გეგმის (3 880.6 ათასი ლარი) 89%-ს შეადგენს; საქართველოს კონტროლის პალატა – 384.1 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (394.0 ათასი ლარი) 97% და დამოწმების (384.9 ათასი ლარი) 100%, ხოლო გეგმის (395.7 ათასი ლარი) 97%; საქართველოს უზენაესი სასამართლო – 482.8 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (497.6 ათასი ლარი) 97%-ს და დამოწმების (483.3 ათასი ლარი) 100%-ს, ხოლო საგეგმო მაჩვენებლის (520.1 ათასი ლარი) 93%-ს შეადგენს; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი – 8 254.5 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (9 041.4 ათასი ლარი) 91% და დამოწმების (8 610.6 ათასი ლარი) 96%, ხოლო გეგმის (9 100.4 ათასი ლარი) 91%; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატი – 461.2 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (488.7 ათასი ლარი) 94% და დამოწმების (475.9 ათასი ლარი) 97%, ხოლო გეგმის (491.4 ათასი ლარი) 94%; სასჯელალსრულების დეპარტამენტის აპარატი – 60.8 ათასი ლარი, ანუ ვალდებულებისა და დამოწმების (58.5 ათასი ლარი) 100%, ხოლო გეგმის (60.8 ათასი ლარი) 99%; სასჯელალსრულების დაწესებულებები – 4

108.8 ათასი ლარი (მათ შორის კვების ხარჯები 1 880.3 ათასი ლარი), ანუ ვალდებულების (4 175.4 ათასი ლარი) 98% და დამოწმების (4 123.2 ათასი ლარი) 99%, ხოლო გეგმის (4 363.3 ათასი ლარი) 94%; შსს მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი – 62.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულება-დამოწმების (62.5 ათასი ლარი) 100%-ს და გეგმის (62.5 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს; საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს აპარატი – 211.4 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (211.9 ათასი ლარი) 99% და დამოწმების (211.4 ათასი ლარი) 100%, ხოლო გეგმის (211.9 ათასი ლარი) 99%; სპორტის დეპარტამენტის აპარატი – 73.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და დამოწმების (73.5 ათასი ლარი) 100%-ს, ასევე გეგმის (75.1 ათასი ლარი) 98%-ს შეადგენს; შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის აპარატი – 28.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99%-ს, დამოწმების 100%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 96%-ს შეადგენს.

ამავე მუხლიდან წინა წლებში წარმოქმნილ დავალიანებებზე სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხების სახით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით, სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან იძულების წესით ჩამოჭრილ იქნა 538.8 ათასი ლარი. ორგანიზაციებს, რომელთა დავალიანების დაფარვაც განხორციელდა, დავალიანებათა ჩამოწერის შესახებ ეცნობათ წერილობით.

“სუბსიდიებისა და მიმდინარე ტრანსფერების” მუხლით 2005 წლის ცხრა თვეში დაგეგმილი იყო 1 036 645.8 ათასი ლარის გამოყოფა. საანგარიშო პერიოდში ამ მუხლიდან აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 915 554.4 ათასი ლარი (გეგმის მიმართ 88%), დამოწმებამ – 904 365.3 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 896 220.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 98%-ს და დამოწმების 99%-ს, ხოლო გეგმის 86%-ს შეადგენს.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2005 წლის იანვარ-სექტემბერში ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს ტრანსფერის სახით გადაერიცხათ 116 263.3 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების 99% და დამოწმების 100%, ხოლო საგეგმო მაჩვენებლის (118 195.9 ათასი ლარი) 98%. მათ შორის: ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებში მიიმართა 41 635.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და დამოწმების 100%, და ცხრა თვის გეგმის (41 635.0 ათასი ლარი) 100%-ია. მ.შ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში – 6 532.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (6 532.0 ათასი ლარი) 100%; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში – 35 103.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (35 103.0 ათასი ლარი) 100%.

სუბსიდიებისა და მიმდინარე ტრანსფერების მუხლიდან დევნილთა შემწეობების დაფარვაზე მიიმართა 28 010.7 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების – 28 010.7 ათასი ლარის – 100% და დამოწმების – 28 010.7 ათასი ლარის – 100%, ხოლო ცხრა თვის საპროგნოზო პარამეტრის (გეგმა – 28 285.1 ათასი ლარი) 99%.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს პენსიონერთა პენსიების დასაფინანსებლად გამოეყო 311 111.8 ათასი ლარი, რაც შეადგენს ვალდებულების – 314 895.0 ათასი ლარის 99%-ს და დამოწმების – 313 770.4 ათასი ლარის 99%-ს, ხოლო ცხრა თვის გეგმის (316 123.2 ათასი ლარი) 98%-ს. მათ შორის:

- ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერთა პენსიების დასაფინანსებლად წარმოდგენილი და რეგისტრირებული ვალდებულების მოცულობამ შეადგინა 26 645.0 ათასი ლარი, დამოწმებამ – 26 645.0 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა – 26 633.8 ათასი ლარი, ანუ დამოწმების 99% და გეგმის (26 645.0 ათასი ლარის) 99%;
- შრომითი მოვალეების შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების (რეგრესული პენსიები) დასაფინანსებლად წარმოდგენილი და

რეგისტრირებული ვალდებულების მოცულობამ შეადგინა 1 760.0 ათასი ლარი, დამოწმებამ და საკასო ხარჯმა – 1 627.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 760.0 ათასი ლარის) 92%-ს შეადგენს;

– დანარჩენი პენსიების დასაფინანსებლად წარმოდგენილი და რეგისტრირებული ვალდებულების მოცულობამ შეადგინა 240 045.0 ათასი ლარი, დამოწმებამ – 239 297.6 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა – 237 343.3 ათასი ლარი, რაც დამოწმების 99%-ია და ვალდებულებებისა და გეგმის (240 045.0 ათასი ლარი) 99%;

– პენსიების გაცემაში წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დასაფარად მიმართული იქნა 45 506.8 ათასი ლარი, რაც შეადგენს დამოწმების (46 199.8 ათასი ლარი) 98%-ს, ხოლო ვალდებულებების (46 445.0 ათასი ლარი) 98%-ს და გეგმის (46 673.2 ათასი ლარი) 95%-ს. საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტში მობრუნდა საპენსიო დავალიანების დასაფარად გადარიცხული 633.0 ათასი ლარი.

უმწვეოთა სოციალური (ოჯახების) დახმარების დასაფინანსებლად წარმოდგენილი ვალდებულების ოდენობამ შეადგინა 16 470.0 ათასი ლარი, დამოწმებამ – 14 588.5 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 14 575.7 ათასი ლარი, რაც დამოწმების–100%, ვალდებულების–88% და გეგმის (16 470.0 ათასი ლარი) 88%.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლტოლვილთა და დევნილთა შემწევობებისა და პენსიონერთა პენსიების და სოციალური დახმარების ხარჯების დაფინანსებისათვის ვალდებულება არის ბიუჯეტით დამტკიცებული შესაბამისი გეგმიური მაჩვენებელი; შედეგად ხდება კვარტალური გეგმის ფარგლებში ვალდებულებების რეგისტრირება, ხოლო დამოწმების სახით, ყოველთვიურად თანხების მოთხოვნაზე განაცხადის წარმოდგენა.

სუბსიდიისა და ტრანსფერების მუხლიდან საანგარიშო პერიოდში ენერგოსისტემის სუბსიდირებისათვის მიმართა 31 179.7 ათასი ლარი, რაც შეადგენს ვალდებულება-დამოწმების და ცხრა თვის გეგმიური მაჩვენებლის 100%-ს.

კულტურის დაწესებულებების სუბსიდირებისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 23 841.4 ათასი ლარი, რაც შეადგენს ვალდებულებების – 24 461.2 ათასი ლარის 97%-ს, დამოწმების – 24 017.4 ათასი ლარის 99%-ს, ხოლო ცხრა თვის გეგმის 26 708.1 ათასი ლარის 89%-ს.

განათლების სისტემის სუბსიდირებისათვის მიმართული იქნა 51 109.6 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 51 775.9 ათასი ლარის ვალდებულებები, ხოლო დამოწმება წარმოდგენილი იქნა 51 235.5 ათას ლარზე. ცხრა თვეში გათვალისწინებული იყო 56 156.380 ათასი ლარის გამოყოფა. საკასო ხარჯმა შეადგინა დამოწმების 99%, ვალდებულების 98%, ხოლო საგეგმო მაჩვენებლის 91%.

ს.ს.ი.პ. “საზოგადოებრივი მაუწყებლობა“-სთვის 2005 წლის ცხრა თვეში გათვალისწინებული იყო 14 374.7 ათასი ლარის სუბსიდიის გამოყოფა. ვალდებულებები რეგისტრირებული იქნა 12 478.6 ათას ლარზე, ხოლო დამოწმება წარმოდგენილია 11 819.5 ათას ლარზე. საკასო ხარჯმა შეადგინა 11 817.4 ათასი ლარი, რაც დამოწმების 100%-ს, ვალდებულების 95%-ს და გეგმის 82%-ს შეადგენს.

კაპიტალური ხარჯების მუხლით 2005 წლის იანვარ-სექტემბერში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 169 014.5 ათასი ლარი, რაც დამოწმების – 172 601.3 ათასი ლარის 98%-ია და ვალდებულების (181 703.3 ათასი ლარი) 93%, ხოლო ცხრა თვის გეგმიური მაჩვენებლის (გეგმა – 264 088.7 ათასი ლარი) 64%. ძალოვანი სტრუქტურებიდან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კაპიტალური ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 96 467.7 ათასი ლარი, რაც დამოწმების (98 254.5 ათასი ლარი) 98%-ია, ვალდებულების (105 493.2 ათასი ლარი) 91%, გეგმიური მაჩვენებლის (172 239.9 ათასი ლარი) – 56%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცხრა თვეში გაწეული კაპიტალური ხარჯების მთლიანი მოცულობის 57%-ს შეადგენს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსებამ შეადგინა 12 381.5 ათასი ლარი, ანუ დამოწმების (13 322.7 ათასი ლარი) 93%, ვალდებულებების (13 981.2 ათასი ლარი) 88%, ხოლო გეგმიური მაჩვენებლის (15 726.5 ათასი ლარი) – 78%; სახელმწიფო დაცვის სპეციალური

სამსახურის დაფინანსებამ შეადგინა 4 697.4 ათასი ლარი, ანუ დამოწმების – 5 045.4 ათასი ლარის 93%, ვალდებულებების – 5 650.5 ათასი ლარის 83%, ხოლო ცხრა თვის გეგმიური მაჩვენებლის (5 739.3 ათასი ლარი) 82%.

საანგარიშო პერიოდში საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის მიიძარტა 25 579.9 ათასი ლარი, რაც შეადგენს ვალდებულება-დამოწმების 100%-ს, ხოლო ცხრა თვის გეგმის (29 633.8 ათასი ლარი) 86%-ს; საგარეო ვალის ძირითადი თანხის დაფარვისათვის მიიძარტა 105 487.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულება-დამოწმების 100%-ს და გეგმის (133 720.9 ათასი ლარი) 79%-ს შეადგენს; მ. შ.:

თანახმად “საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონისა, დადგენილი წესის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შპს “თბილავიამშენს” შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს “თბილავიამშენს” თურქმენეთისათვის საგარეო ვალის დაფარვის ანგარიშში პროდუქციის რეალიზაციისა და მომსახურების გაწევისათვის გადაერიცხა 71 106.3 ათასი ლარი, ხოლო ვალის მომსახურების ანგარიშში გადაერიცხა 5 336.9 ათასი ლარი. ამავე დანიშნულებით ფინანსთა სამინისტროსა და ს.ს. “ქართულ შაქარს” შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ს.ს. “ქართულ შაქარს” ვალის ძირითადი თანხის დაფარვის ანგარიშში გადაერიცხა 13 171.1 ათასი ლარი, ხოლო ვალის მომსახურების ანგარიშში – 287.0 ათასი ლარი.

საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის იანვარ-სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები შეადგენს 62 350.9 ათას ლარს, რაც ვალდებულების 100%-ს და დამოწმების 100%-ს შეადგენს, ხოლო გეგმიური მაჩვენებლის (62 611.2 ათასი ლარი) 100%-ია; მ.შ. ეროვნული ბანკის სესხის და სავალო ვალდებულებების მომსახურებისათვის მიიძარტა – 55 159.0 ათასი ლარი, ხოლო სახაზინო ვალდებულებების დისკონტის ხარჯების დასაფარად – 7 191.9 ათასი ლარი.

ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ანგარიშში, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების და სხვა ქვეყნების მთავრობების მიერ ინვესტიციური პროექტების დაფინანსებისათვის გამოყოფილი ინვესტიციური კრედიტებით და გრანტებით საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 87 995.8 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით 2005 წლის იანვარ-სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მაჩვენებლებია:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 182 303.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (246 016.2 ათასი ლარი) 74% შეადგენს. აღნიშნულ ხარჯებში საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის დაფინანსების მოცულობა შეადგენს 24 638.5 ათას ლარს, რაც გეგმის (25 007.1 ათასი ლარი) 99%-ია; საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯების დაფინანსება 35 171.2 ათას ლარს, რაც გეგმის (39 368.9 ათასი ლარი) 89%-ია; ხოლო საფინანსო და საგადასახადო-საბიუჯეტო საქმიანობის ხარჯების დაფინანსება – 60 516.4 ათას ლარს, რაც გეგმის (110 942.2 ათასი ლარი) 55%-ია; ფუნდამენტალური სამეცნიერო გამოკვლევების დაფინანსება – 13 571.9 ათასი ლარი, გეგმის (15 116.1 ათასი ლარი) 90%-ია. საერთო ხასიათის სახელმწიფო მომსახურებაზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 10 168.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (22 766.5 ათასი ლარი) 45%-ს შეადგენს.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2005 წლის ცხრა თვეში დაგეგმილი იყო 370 979.8 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 251 871.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 68%; მათ შორის სამხედრო საჭიროებასთან და სამოქალაქო თავდაცვასთან დაკავშირებული საქმიანობის და ორგანიზაციის საკასო ხარჯებმა შეადგინა 250 934.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 370 039.3 ათასი ლარის 68%.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების ხაზით 2005 წლის ცხრა თვეში განსაზღვრული იყო 201 319.7 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 183 776.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 91%. აღნიშნულ ხარჯებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან და უშიშროებასთან დაკავშირებული საქმიანობის, რომელიც არ განეკუთვნება სხვა კატეგორიებს, დაფინანსებამ შეადგინა 154 123.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (167 454.4 ათასი ლარის) 92%-ია, სასამართლო ორგანოების ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 19 727.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის – 23331.0 ათასი ლარის 85%; ციხეების მუშაობის მართვის დასაფინანსებლად გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 9 925.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (10 534.3 ათასი ლარი) 94%-ს შეადგენს.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად 2005 წლის ცხრა თვეში დაგეგმილი იყო 58 210.1 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 53 239.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 91%; აღნიშნულ ხარჯებში დიდია ხვედრითი წილი უმაღლესი განათლების დაფინანსების – 17 120.3 ათასი ლარი, რომელმაც შეადგინა გეგმის (17 534.9 ათასი ლარი) 98%; ასევე განათლების სფეროში საქმიანობისა და მომსახურების, რომელიც არ განეკუთვნება სხვა კატეგორიებს, დაფინანსების – 16 190.4 ათასი ლარი, რაც გეგმის – 16 610.3 ათასი ლარის 97%-ს შეადგენს. საშუალო განათლების საფეხურის დაფინანსებამ (14 156.8 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის გეგმის (15 067.2 ათასი ლარი) 94%.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2005 წლის ცხრა თვეში დაგეგმილი იყო 130 332.1 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 112 015.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 86%; აღნიშნულ ხარჯებში ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსებამ (68 425.8 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (77 935.8 ათასი ლარი) 88%; ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სხვა საქმიანობის დაფინანსებამ (43 589.8 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (52 396.3 ათასი ლარი) 83%.

სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის ხაზით 2005 წლის ცხრა თვეში დაგეგმილი იყო 411 481.0 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 397 266.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97%; აღნიშნული ხარჯები 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცხრა თვის მთლიანი ხარჯების 22%-ს შეადგენს. მათ შორის, სოციალური დაზღვევის ხარჯების მოცულობა (338 039.9 ათასი ლარი) შეადგენს გეგმის (346 225.2 ათასი ლარი) 98%-ს; ხოლო მ. შ. საპენსიო პროგრამების დაფინანსებამ (311 111.8 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (316 123.2 ათასი ლარი) 98%; სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის, რომელიც არ განეკუთვნება სხვა კატეგორიას, დაფინანსებამ (57 149.9 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის გეგმის (62 124.9 ათასი ლარი) 92%.

საქმიანობა კულტურის, სპორტისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 30 353.6 ათასი ლარით, რაც 2005 წლის ცხრა თვის გეგმის – 35 572.9 ათასი ლარის 85%-ს შეადგენს. აღნიშნულ ხარჯებში მნიშვნელოვანია ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის, საგამომცემლო დაწესებულებების და სამსახურების დაფინანსება, რომლის მოცულობამ შეადგინა 12 137.6 ათასი ლარი, ანუ ცხრა თვის გეგმის (14 836.4 ათასი ლარი) 82%; დასვენების ორგანიზაციისა და სპორტის სფეროში საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 5 074.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 5 800.8 ათასი ლარის 87%; კულტურის სფეროში საქმიანობის დაფინანსებამ – 5 896.6 ათასი ლარი, შეადგინა გეგმის 7 006.3 ათასი ლარის 84%.

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ხაზით 2005 წლის ცხრა თვეში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 137 463.2 ათასი ლარი, ანუ ცხრა თვის გეგმის – 198 331.9 ათასი ლარის 69%. აღნიშნულ ხარჯებში დიდი ხვედრითი წილია ელექტროენერჯისა და სხვა ენერგომომცველების დაფინანსების (31 179.7 ათასი ლარი), რომელიც შეადგენს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის მთლიანი ხარჯების 22%-ს, ხოლო ცხრა თვის გეგმის (31 179.7 ათასი ლარი) 100%-ს. სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის სფეროში საქმიანობის და მომსახურების, რომელიც არ განეკუთვნება სხვა კატეგორიებს, საკასო ხარჯებმა შეადგინა 99 131.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 107 845.0 ათასი ლარის 92%; მათ შორის პრივატიზებიდან მიღებული სახსრებით ენერგოსისტემის სუბსიდირების დამატებითი ღონისძიებების საკასო ხარჯმა შეადგინა 97 524.4 ათასი ლარი, რაც ცხრა თვის გეგმიური მაჩვენებლის (106 054.2 ათასი ლარი) 92%-ს შეადგენს. შესრულების დაბალი პროცენტული მაჩვენებლით ხასიათდება სათბობის (საერთაშორისო ინვესტიციური პროექტების) ხარჯების დაფინანსება, რომელმაც ცხრა თვეში შეადგინა 7 151.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 59 307.2 ათასი ლარის 12%-ს შეადგენს.

სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის ხაზით ცხრა თვეში დაგეგმილი იყო 45 664.5 ათასი ლარის გამოყოფა; საანგარიშო პერიოდში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 33 264.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 73%; აღნიშნულ ხარჯებში სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის სფეროში საქმიანობისა და მომსახურების, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კატეგორიებს დაფინანსებამ შეადგინა 14 048.3 ათასი ლარი, რაც ცხრა თვის გეგმის (23 341.4 ათასი ლარი) 60%-ია, ხოლო სოფლისა და წყალთა მეურნეობის დაფინანსებამ შეადგინა 14 189.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (17 070.7 ათასი ლარი) 83%, სატყეო მეურნეობის დაფინანსებამ (4 995.6 ათასი ლარი) საგეგმო მაჩვენებლის (5 218.7 ათასი ლარი) 96%.

სამთომომპოვებელი მრეწველობისა და სასარგებლო წიაღისეულის (სათბობის გარეშე), გადამამუშავებელი მრეწველობის, მშენებლობის ხაზით 2005 წლის ცხრა თვეში დაგეგმილი იყო 591.1 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 542.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 92%.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ხაზით 2005 წლის ცხრა თვეში დაგეგმილი იყო 91 676.2 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 78 184.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 85%. აღნიშნულ ხარჯებში საავტომობილო გზების მშენებლობის ხარჯების დაფინანსება (78 184.1 ათასი ლარი) შეადგენს მთლიანი ხარჯების 100%-ს.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობის ხაზით 2005 წლის ცხრა თვეში დაგეგმილი იყო 20 616.2 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 12 214.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 59%; აღნიშნულ ხარჯებში მნიშვნელოვანია საერთო სამეურნეო და კომერციული საქმიანობის დაფინანსება საერთო შრომითი საქმიანობის გარეშე, რომლის მოცულობაც (10 214.1 ათასი ლარი) შეადგენს ცხრა თვის გეგმის (18 307.7 ათასი ლარი) 56%-ს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობის მთლიანი ხარჯების 83%-ს.

სხვა ხარჯების, რომლებიც არ განეკუთვნება ძირითად განყოფილებებს, დაფინანსებამ შეადგინა 310 220.6 ათასი ლარი, რაც ცხრა თვის გეგმის (427 619.9 ათასი ლარი) 73%-ია. აღნიშნულ ხარჯებში სახელმწიფო ვალდებულებებით ოპერაციების დაფინანსების მოცულობა 193 418.5 ათასი ლარი, გეგმის (225 966.0 ათასი ლარი) 86%-ია. საერთო ხასიათის ტრანსფერები სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონეებს შორის, მ.შ. სუბვენციების დაფინანსებამ შეადგინა 116 263.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 118 195.9 ათასი ლარის 98%. „სხვა ხარჯები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული ფუნქციონალური კლასიფიკაციის სხვა ძირითადი ჯგუფებით“, საკასო ხარჯმა შეადგინა 538.8 ათასი ლარი (გეგმის 83 458.1 ათასი ლარის) 1% (საგეგმო მაჩვენებელში გათვალისწინებულია გასული წლების დავალიანებების დასაფარავად განსაზღვრული

ასიგნება), რაც წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილებებით ხაზინის ანგარიშებიდან იძულების წესით, საინკასო დავალებების საფუძველზე, სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ანგარიშში ჩამოჭრილ თანხებს.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ლონისძიებების ჭრილში

სახელმწიფო ბიუჯეტის 2005 წლის იანვარ-სექტემბრის ხარჯების მაჩვენებლები ღონისძიებების ძირითადი კატეგორიების მიხედვით შემდეგია:

გზების ღონისძიებებზე გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 81 321.4 ათასი ლარი, რაც გეგმით განსაზღვრული მაჩვენებლის – 96652.4 ათასი ლარის – 84%-ს შეადგენს; მათ შორის დიდია ხვედრითი წილი გზების მოვლა-შეკეთებაზე გაწეული ხარჯებისა, რომელმაც შეადგინა 77 156.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (90492.9 ათასი ლარი) 85%-ია და გზების მთლიანი ხარჯების 95%-ს შეადგენს. გზების რეაბილიტაციაზე გაწეული იქნა 3 137.3 ათასი ლარის ხარჯები, ანუ გეგმის (4976.2 ათასი ლარის) 63%.

სოფლის მეურნეობის ღონისძიებებზე გაწეული ხარჯების მოცულობამ შეადგინა 27 984.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (40 148.7 ათასი ლარი) 70%. მ.შ. სოფლის მეურნეობის მართვის ღონისძიებებზე გაწეული ხარჯი – 9 071.5 ათას ლარი შეადგენს გეგმის (10 474.2 ათასი ლარი) 87%-ს და სოფლის მეურნეობის ღონისძიებების მთლიანი ხარჯების მოცულობის 32%-ს შეადგენს; ასევე, მიწების გაუმჯობესებაზე (პროგრამა “სურსათის უზრუნველყოფისათვის წყლის მართვა”) გაწეული ხარჯები, რომელმაც შეადგინა 2 062.9 ათასი ლარი გეგმის (2100.0 ათასი ლარის) 98%. მეცხოველეობის განვითარების და დაცვის ღონისძიებების ხარჯებმა შეადგინა 2 023.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (3262.7 ათასი ლარის) 62%-ს და სოფლის მეურნეობის ღონისძიებების მთლიანი ხარჯების 7%-ს შეადგენს. სოფლის მეურნეობის ვდარგის საინვესტიციო პროექტების დაფინანსების მაჩვენებელია 12 034.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (20 501.9 ათასი ლარი) 58%.

გარემოს დაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 12 917.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (21 357.3 ათასი ლარის) 60%-ს შეადგენს. მათ შორის გარემოს მართვის ღონისძიებებზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 3 948.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (4 169.0 ათასი ლარის) 95% და გარემოს დაცვის მთლიანი ხარჯების მოცულობის 31%. საინვესტიციო პროექტების დაფინანსებამ შეადგინა 7 943.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (14778.6 ათასი ლარის) 54% და გარემოს დაცვის ღონისძიებებზე განსაზღვრული ასიგნებების მთლიანი ხარჯების 61%-ს შეადგენს.

ბუნებრივი რესურსების ღონისძიებებზე გაწეული ხარჯების მოცულობა შეადგენს 4 668.9 ათას ლარს, ანუ გეგმის (4 793.6 ათასი ლარის) 97%-ს, მათ შორის დიდია ხვედრითი წილი ბუნებრივი რესურსების მართვის ღონისძიებებზე გაწეული ხარჯების მოცულობისა, რაც შეადგენს 4 450.9 ათას ლარს ანუ გეგმის (4 547.1 ათასი ლარი) 98%-ს და ბუნებრივი რესურსების ღონისძიებების მთლიანი ხარჯების 95%-ს.

ტრანსპორტისა და კომუნიკაციების ღონისძიებებზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 5 898.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (15903.1 ათასი ლარი) 37%; მათ შორის ინფრასტრუქტურის სფეროს საინვესტიციო პროექტების დაფინანსების მაჩვენებელია 5 751.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (15756.5 ათასი ლარი) 36% და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების ღონისძიებებზე განსაზღვრული ასიგნებების 97%-ი.

ენერგეტიკის ღონისძიებებზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 137 463.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის 198 331.9 ათასი ლარის 69%. ენერგოსისტემის სუბსიდირების მოცულობამ შეადგინა 106 704.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (115 233.9 ათასი ლარი) 93% და ენერგეტიკის ღონისძიებებზე გაწეული მთლიანი ხარჯების 77%-ია. მათ შორის

ელექტროენერჯით მომარაგების უზრუნველყოფისათვის განსაზღვრული (ენგურჰესის რეაბილიტაციის პროგრამით ჰესის გაჩერების გათვალისწინებით) ელონისძიებებზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 35 165.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 35271.0 ათასი ლარის 100%. ენერჯეტიკის მართვის ღონისძიებებზე მიიმართა 1 607.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 90%-ს შეადგენს; ენერჯეტიკის დარგის საინვესტიციო პროექტების დაფინანსებამ შეადგინა 29 151.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 77 477.2 ათასი ლარის 38%.

განათლების ღონისძიებების დასაფინანსებლად გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 48 468.3 ათასი ლარი, რაც საგეგმო მაჩვენებლის – 62 301.6 ათასი ლარის 78%-ს შეადგენს. მათ შორის, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები 7 193.5 ათასი ლარი გეგმის (17 731.1 ათასი ლარის) 41%-ს და განათლების ღონისძიებების მთლიანი ხარჯების 15%-ს შეადგენს, უმაღლესი პროფესიული განათლების ღონისძიებების ხარჯებმა – 18 210.4 ათასი ლარი (გეგმის 20 635.9 ათასი ლარის 88%), შეადგინა განათლების ღონისძიებების მთლიანი ხარჯების 37%. საშუალო პროფესიული განათლების ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 1 660.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის 1 792.4 ათასი ლარის 93%, ხოლო დაწყებითი პროფესიული განათლების ღონისძიებების ხარჯებმა შეადგინა 1 072.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 1 092.4 ათასი ლარის, 98%-ია.

კულტურის ღონისძიებების დაფინანსების მოცულობა შეადგენს 31 162.1 ათას ლარს, ანუ გეგმის 35 597.2 ათასი ლარის 88%-ს. მათ შორის თეატრები, ფილარმონიები, მუსიკალური კოლექტივები, ანსამბლები და სხვა ღონისძიებების დაფინანსება შეადგენს 5 416.1 ათას ლარს, რაც გეგმის 5 728.2 ათასი ლარის 95%-ია. მუზეუმებისა და გამოფენების დაცვის ღონისძიებების ხარჯებმა შეადგინა 3 021.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის 3 210.6 ათასი ლარის 94%. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის ღონისძიებები დაფინანსებულია 610.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 1 194.2 ათასი ლარის 51%-ია. კულტურის ღონისძიებების დაფინანსების მთლიანი მოცულობის 38%-ს შეადგენს ტელევიზიის სახელმწიფო ღონისძიებების დაფინანსება – 11 895.9 ათასი ლარი, რაც საანგარიშო პერიოდის საგეგმო მაჩვენებლის 82%-ია. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელშეწყობის ღონისძიებებიდან სპეციალური საპრეზიდენტო პროგრამის ხარჯებმა შეადგინა 1 546.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 1563.2 ათასი ლარის 99%.

სპორტის ღონისძიებების დასაფინანსებლად გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 5 541.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 6237.8 ათასი ლარის 89%; მათ შორის გაჯანსაღება, მასობრივი სპორტის განვითარების ღონისძიებების დაფინანსების ოდენობა 4 134.5 ათასი ლარი შეადგენს გეგმის 4751.9 ათასი ლარის 87%-ს და სპორტის ღონისძიებების მთლიანი ხარჯების 75%-ს.

ტურიზმის ღონისძიებებზე გაწეული ხარჯების მოცულობა შეადგენს 618.4 ათას ლარს, ანუ საგეგმო მაჩვენებლის 844.6 ათასი ლარის 73%.

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად გაწეული ხარჯების მოცულობა შეადგენს 105 458.0 ათას ლარს, ანუ გეგმის 120 341.7 ათასი ლარის 88%-ს. მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის მართვის ღონისძიებების ხარჯებმა შეადგინა 5 053.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (5 831.8 ათასი ლარი) 87%; მოსახლეობის ამბულატორიული დახმარების ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 19 993.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (23065.0 ათასი ლარი) 87%-ია და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების მთლიანი ხარჯების 19%; ხოლო მოსახლეობის სტაციონალური დახმარების სახელმწიფო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 35 473.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 37 213.8 ათასი ლარის 95% და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების მთლიანი ხარჯების 34%. მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის ღონისძიებების დასაფინანსებლად მიიმართა 7 928.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 8 967.0 ათასი ლარის 88%-ს შეადგენს. ჯანმრთელობის დაცვის პროფილაქტიკური ღონისძიებების დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 25 398.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 26 502.8 ათასი ლარის 96%, ხოლო ჯანდაცვის ღონისძიებების მთლიანი ხარჯების 24%. ჯანმრთელობის

დაცვის საინვესტიციო პროექტების დაფინანსებამ შეადგინა 11 610.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 18761.3 ათასი ლარის 62%.

სოციალური დაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად მიმართული იქნა 403 100.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 421 318.7 ათასი ლარის 96%-ს შეადგენს. აღნიშნულ ღონისძიებებზე გაწეული ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის ცხრა თვის მთლიანი ხარჯების 23%-ს შეადგენს. ამ კატეგორიის ღონისძიებების ხარჯებში დიდია ხვედრითი წილი საპენსიო უზრუნველყოფის ღონისძიებების დაფინანსების მოცულობის (311 111.8 ათასი ლარი); დენილთა და ლტოლვილთა სოციალური დაცვის ღონისძიებების დაფინანსების (43 037.4 ათასი ლარი); ელექტროენერჯის მომხმარებელთა სოციალური დაცვის ღონისძიებების დაფინანსების (9 504.4 ათასი ლარი); უმწველთა სოციალური (ოჯახების) დახმარების დაფინანსების (14 596.5 ათასი ლარი) და სოციალური დაცვის მართვის ღონისძიებების დაფინანსების მოცულობის (11 429.7 ათასი ლარი).

მეცნიერების ღონისძიებების დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 13 968.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 14843.1 ათასი ლარის 94%-ია. მ. შ. ფუნდამენტური მეცნიერების დაფინანსებამ შეადგინა 4 493.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (4688.8 ათასი ლარი) 96%, ხოლო ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 8 026.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (8528.5 ათასი ლარი) 94%. მეცნიერების მართვის ღონისძიებების დასაფინანსებლად მიიმართა 1 230.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 1367.1 ათასი ლარის 90%-ს შეადგენს.

საერთომართვის ღონისძიებების დასაფინანსებლად მიმართული იქნა 128 346.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 176 814.1 ათასი ლარის 73%-ს შეადგენს. მათ შორის საკანონმდებლო საქმიანობის და კონტროლის ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 16 073.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 17 085.9 ათასი ლარის 94% და საერთო მართვის ღონისძიებების მთლიანი ხარჯების მოცულობის 12%, აღმასრულებელი ხელისუფლების კოორდინაციის ღონისძიებების დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 22 294.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 25 815.5 ათასი ლარის 86% და საერთო მართვის ღონისძიებების მთლიანი ხარჯების მოცულობის 17%. ეკონომიკური პროცესების მართვისა და რეგულირების ღონისძიებების დასაფინანსებლად მიიმართა 62 750.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 72 034.5 ათასი ლარის 87% და საერთო მართვის ღონისძიებების მთლიანი ხარჯების მოცულობის 49%. საინვესტიციო პროექტების დაფინანსების მაჩვენებელმა შეადგინა 25 710.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 43%-ია.

საგარეო ურთიერთობათა ღონისძიებების დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 24 767.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 25584.2 ათასი ლარის 97%-ია; მათ შორის დიპლომატიური წარმომადგენლობების დაფინანსება შეადგენს 15 929.9 ათას ლარს, ანუ გეგმის 16544.6 ათასი ლარის 96%-ს, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციებში მონაწილეობის ღონისძიებების დაფინანსება შეადგენს 4264.0 ათას ლარს, ანუ გეგმის 100%-ს.

არაკლასიფიცირებული ფინანსური ნაკადების მოცულობის მაჩვენებელია 318 350.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 428 303.3 ათასი ლარის 74%-ს შეადგენს; მათ შორის საშინაო ვალის მომსახურების მოცულობამ შეადგინა 71 019.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 154 199.3 ათასი ლარის 46%-ია, ხოლო საგარეო ვალის მომსახურების ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 131 067.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 163354.7 ათასი ლარის 80%-ია. ტერიტორიულ ბიუჯეტებში ტრანსფერების მოცულობა შეადგენს 116 263.3 ათას ლარს, რაც გეგმის 98%-ია.

თავდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად მიმართული იქნა 253 046.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 372 312.3 ათასი ლარის 68%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის 2005 წლის ცხრა თვის ხარჯების მთლიანი მოცულობის 14%. მათ შორის თავდაცვის მართვის ღონისძიებების დასაფინანსებლად მიიმართა 236 755.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის 354303.9 ათასი ლარის 67%, ხოლო საზღვრის დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებების

დასაფინანსებლად კი – 14 179.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 15 735.4 ათასი ლარის 90%-ს შეადგენს.

მართლწესრიგის დაცვის ღონისძიებების დაფინანსებამ 179 632.8 ათასი ლარი (გეგმა – 196 726.2 ათასი ლარი), ანუ გეგმის 91% და სახელმწიფო ბიუჯეტის 2005 წლის ცხრა თვის მთლიანი ხარჯების 10% შეადგინა; მათ შორის საზოგადოებრივი უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის ღონისძიებების დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 154 888.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 167 632.8 ათასი ლარის 92% და მართლწესრიგის დაცვის ღონისძიებების მთლიანი ხარჯების მოცულობის 86%. მ.შ. მაღალი რანგის თანამდებობის პირთა და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების დაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად მიმართული იქნა 22 356.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 24480.0 ათასი ლარის 91%, ხოლო მართლწესრიგის მართვის ღონისძიებების დასაფინანსებლად მიიმართა 13 236.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 15502.3 ათასი ლარის 85%. საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დამცავ უწყებებში საინვესტიციო პროექტების დაფინანსების მოცულობა შეადგენს 11 507.6 ათას ლარს, რაც გეგმის 13591.0 ათასი ლარის 85%-ია.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

2005 წლის ცხრა თვეში საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი განისაზღვრა 24 070.0 ათასი ლარით, ხოლო იანვარ-სექტემბერში საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ოდენობამ 42 შემთხვევაში შეადგინა 23 959.3 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ხაზინაში წარმოდგენილი და რეგისტრირებული ვალდებულების მოცულობა შეადგენს 23 735.2 ათას ლარს, დამოწმების ოდენობამ შეადგინა 23 700.9 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა – 23 415.4 ათასი ლარი, ანუ ვალდებულებებისა და დამოწმების 99%, ხოლო გამოყოფილი ასიგნებების 97%. აქედან, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებებით სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები მხარჯავი დაწესებულებების მიერ 29 შემთხვევაში სრულად იქნა ათვისებული თანხაზე 15 271.4 ათასი ლარი, ხოლო დანარჩენ 11 შემთხვევაში ნაწილობრივ ათვისებული თანხების მოცულობამ შეადგინა 8144.0 ათასი ლარი, ხოლო პირველი ოქტომბრისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 543.8 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი 2005 წლის ცხრა თვეში განისაზღვრა 24 300.0 ათასი ლარით, ხოლო იანვარ-სექტემბერში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ოდენობამ შეადგინა 31 857.4 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეგისტრირებულ იქნა ვალდებულება 27 469.4 ათას ლარზე, დამოწმების მოცულობამ შეადგინა 27 204.1 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 27 214.0 ათასი ლარი, ანუ დამოწმების 100% და ვალდებულებების 99%, ხოლო გამოყოფილი ასიგნებების მოცულობის 85%. აქედან, საქართველოს მთავრობის განკარგულებებით სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები მხარჯავი დაწესებულებების მიერ 65 შემთხვევაში სრულად იქნა ათვისებული თანხაზე 15944.1 ათასი ლარი, ხოლო დანარჩენ 53 შემთხვევაში ნაწილობრივ

ათვისებული თანხების მოცულობამ შეადგინა 11 269.9 ათასი ლარი, ხოლო პირველი სექტემბრისათვის აუთვისებული თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 4 643.4 ათასი ლარი.

წინა პერიოდის დავალიანებათა დაფარვა

“საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, წინა პერიოდის დავალიანებათა დასაფარად ცხრა თვეში საბიუჯეტო ორგანიზაციებზე გამოყოფილი იქნა 60 060.5 ათასი ლარის ასიგნება, ასევე ბიუჯეტის შესახებ კანონის თანახმად ცალკეული ღონისძიებების სახით დავალიანებების დასაფარად განისაზღვრა 13 015.3 ათასი ლარის ასიგნება.

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გასული წლების დავალიანებების დასაფარად მიმართული იქნა შრომის ანაზღაურების მუხლით – 78.0 ათასი ლარი (გეგმა – 78.1 ათასი ლარი), დამქირავებლიდან ანარიცხების მუხლით – 26.8 ათასი ლარი (გეგმა – 27.6 ათასი ლარი); ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ შრომის ანაზღაურების მუხლით – 122.8 ათასი ლარი (გეგმა – 122.8 ათასი ლარი), დამქირავებლიდან ანარიცხების მუხლით – 38.9 ათასი ლარი (გეგმა – 38.9 ათასი ლარი).

წინა პერიოდის დავალიანებათა დასაფარად საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ “მივლინებების” მუხლით მიმართულ იქნა 14.8 ათასი ლარი (გეგმა – 14.8 ათასი ლარი).

„სხვა საქონელი და მომსახურების” მუხლიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიმართულ იქნა – 14.4 ათასი ლარი (გეგმა – 14.7 ათასი ლარი), საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ – 121.8 ათასი ლარი (გეგმა – 129.5 ათასი ლარი); საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, 2004 წლის დეკემბერში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადასახდელად, მიმართულ იქნა 923.1 ათასი ლარი (გეგმა – 1 380.0 ათასი ლარი).

უზარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის ამავე მუხლიდან წინა წლებში წარმოქმნილ დავალიანებებზე სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხების სახით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით, სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებიდან ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა 538.8 ათასი ლარი.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ “სუბსიდიებისა და მიმდინარე ტრანსფერების” მუხლით ანტიტერორისტულ ოპერაციებში წარმოქმნილ დავალიანებათა დაფარვის ღონისძიებებისათვის მიიმართა 8 105.0 ათასი ლარი (გეგმა – 8 105.0 ათასი ლარი), ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ “კაპიტალური ხარჯების” მუხლით მიმართულ იქნა 69.0 ათასი ლარი (გეგმა – 69.0 ათასი ლარი).

წინა პერიოდის დავალიანებათა დაფარვისათვის განსაზღვრული ასიგნებებიდან გამოყოფილი (“სუბსიდიისა და ტრანსფერების” მუხლიდან – 57 060.5 ათასი ლარი) და ბიუჯეტის შესახებ კანონის თანახმად დავალიანებების დაფარვის ღონისძიებებზე განსაზღვრული ასიგნებების („სხვა საქონელი და მომსახურების” მუხლიდან – 1 550.0 ათასი ლარი; “სუბსიდიისა და ტრანსფერების” მუხლიდან – 1 485.0 ათასი ლარი) ფარგლებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ იანვარ-სექტემბერში, გასული წლების დავალიანებების დასაფარად, მიმართულ იქნა: “სხვა საქონელი და მომსახურების” მუხლიდან – 1 436.7 ათასი ლარი, “სუბსიდიისა და ტრანსფერების” მუხლიდან – 55

590.0 ათასი ლარი; მათ შორის, საპენსიო დავალიანებების დასაფარად – 45 506.8 ათასი ლარი (გეგმა – 47 673.2 ათასი ლარი); ჯანდაცვის პროგრამებში არსებული დავალიანებების დასაფარად – 7 989.3 ათასი ლარი (გეგმა – 8 000.0 ათასი ლარი), ხოლო უმუშევრების სოციალური დაცვის და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების დავალიანების დასაფარად – 979.7 ათასი ლარი (გეგმა – 1 485.0 ათასი ლარი); სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დამატებითი სამედიცინო დახმარების პროგრამის (2004 წელს ნაკისრ ვალდებულებათა ანაზღაურებისათვის) ხარჯების დასაფინანსებლად – 1 436.7 ათასი ლარი (გეგმა – 1 550.0 ათასი ლარი).

2005 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების შესრულების წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული მონაცემების საფუძველზე.